

ტოლედოს მთარგმნელობითი სკოლისა და გელათის აკადემიის
მთარგმნელობითი ტრადიციების შედარებითი ანალიზი

ნინო ლომაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (რომანული ფილოლოგია) და შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიეტა ჩიხლაძე, ფილოლოგიის დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ლომაძე

2021 წლის 25 ივნისი

აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს XI-XIII საუკუნეებში იბერიის ნახევარკუნძულისა და ქართულ მწიგნობრულ-მთარგმნელობით კერებში განხორციელებული მთარგმნელობითი საქმიანობის კვლევას. ჩვენი მიზანია, მთარგმნელობითი საქმიანობის შესწავლის საფუძველზე, წარმოვაჩინოთ და შევადაროთ ამ ორ განსხვავებულ კულტურულ-გეოგრაფიულ არეალში მიმდინარე რელიგიური და ფილოსოფიური პროცესები. ასევე, შევისწავლოთ ის მეთოდები და მიდგომები, რომლითაც ამ ეპოქის მთარგმნელობითი სკოლები ხელმძღვანელობდნენ.

საკვლევ ობიექტად აღებულია იბერიის ნახევარკუნძულზე აღმოცენებული, კერძოდ კი, ტოლედოს მთარგმნელობითი სკოლის სახელით ცნობილი მთარგმნელობითი საქმიანობა; წარმოდგენილია იქ მოღვაწე მთარგმნელები, აღწერილია მათი თარგმნის მეთოდები და ნუსხის სახით თანდართულია მათ მიერ არაბულიდან ლათინურ ენაზე თარგმნილი ნაშრომები, რომლებშიც აისახა დასავლეთ ევროპაში იმ პერიოდში გავრცელებული ანტიკური და არაბული ფილოსოფიური ცოდნა.

ქართული მთარგმნელობითი საქმიანობის ისტორიიდან ნაშრომში წარმოდგენილია გელათის აკადემიაში მოღვაწე იოანე პეტრიწისა და მის წინარე იმ ქართველ მთარგმნელთა შემოქმედება, რომელთაც მთარგმნელობითი მიდგომები და მეთოდები განსაზღვრეს და დაამკვიდრეს შემდგომ ქართულ მთარგმნელობით ისტორიაში.

ნაშრომში, მეტი სიცხადისთვის, ასევე მიმოხილული და განსაზღვრულია ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორიც არის შუა საუკუნეების *მთარგმნელობითი სკოლა* და *მთარგმნელობითი მეთოდოლოგია*.

ესპანური და ქართული მთარგმნელობითი საქმიანობის მიმოხილვა, რომელიც შუა საუკუნეების თითქმის ერთსა და იმავე ეპოქაში (საქართველოში XI-XII სს. და ესპანეთში XII-XIII სს.) და ერთი და იმავე ისტორიული დამპყრობლის, არაბთა ბატონობის დროს არის განხილული, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს, დავინახოთ და

განვსაზღვროთ საზოგადოებრივი აზროვნების განვითარება და მათი რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა კურსი.

ძირითადი სამიზნო სიტყვები: ტოლედოს მთარგმნელობითი სკოლა, გელათის აკადემია, მთარგმნელობითი საქმიანობა შუა საუკუნეებში, თარგმნის მეთოდი.

Abstract

The paper represents a study of literary translation activities carried out in the XI-XIII centuries in the Iberian Peninsula and in the centers of Georgian literary translation. Our aim is that based on the study of translation activities, to present and compare the current religious and philosophical processes in these two different cultural-geographical areas. Also, to explore the methods and approaches used by the translation schools of that era.

The object of the study is the translation activity originated on the Iberian Peninsula, known as the Toledo School of Translations; The translators working there are described, their translation methods and a list of their translated works from Arabic into Latin is presented. The works that are reflecting the ancient and Arabic philosophical knowledge that were spread simultaneously throughout Western Europe.

From the history of Georgian translation activities, the paper presents the work of Ioane Petritsi who worked at Gelati Academy, and his predecessor Georgian translators, who defined translation approaches and methods and established them in the history of later Georgian translation.

For further clarity, the paper also reviews and defines the use of terms such as medieval translation school and translation methodology.

In the overview of Spanish and Georgian translation activities, the main focus is made on almost the same epoch of the Middle Ages (XI-XII centuries in Georgia and XII-XIII centuries in Spain) when the regions were ruled by the same historical conqueror, the Arab domination. Thus, it helps us to see and define the development of public thought and the course of their religious-philosophical views.

Key words: Toledo School of Translations, Gelati Academy, Translation Activities in the Middle Ages, Translation Method.